

სიღირუ მომსახურება

რელიეფი მომსახურება

საუკეთესო ეურეკა

გრეკოზე



აპრილი 1.

№ 7.

შ 0 6 1 5 1 6 0 :

3. რცხილაძე	სანატორიუმი ქვექანა (გარვუდის თხზულებიდან)	3
-8. გულბაათიშვილი ..	იონჭა ..	8
8. თაქთაქიშვილი ..	სესილის მოვლა ..	11
-პროფ. გენრი	კვება და საკვებავები ..	12
განცხადებანი		16

ფურნალი წელიწადში ლირს—3 მანეთი. მისამართი: თიფლის, ბარათინსკა 5.

სამეურნეო ქურხალი

მოსკვალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს უფრნაში იღებდნენ მთაწილეობას: — ახლ შვილი ვ., ანაზეული პ., ახალია ი., გულბათიშვილი ვ., გაღმოჩევწილი პ., გვარმაძე ილ., გორთამაშვილი ლ., გამხარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., გახელიძე ი., შჭედლიშვილი ვ., შელია პ., შლიგანი ლ., რაჩაბელი ა., მაჩაბელი ი., ნაცურნიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილაძე გ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩიგაძე ე., ჩხეიძე უ., ცხადაძე გრ., ლ—ძე ლ., შლ. ჯალიაშვილი, წ—ძე ა., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქტირ მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზურადლებოდ.

შერნალის შემსავლიდან გაისტუმრება ზარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტირ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტირ მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნასაცალებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკერო გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (გვერდი ან პარაგრაფი ასოთი) განცხადებისა ლირს თ. შატრი.

წლიური აბინემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტირასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტირ ურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაშვილი

სანატრედი ქვეყანა

(გარეულის თხზულებიდან)

კვება და საძვებავები

ზაღაც სამართალია, საკვებავების ღირსება-ნაკლულოვანობა ჯერ თავად-და-თვად იმათ უნდა გაეგებოდეთ, ვისაც ეს საკვებავები მოჰყავს, ვისი ხელითაც ეძლევა მთელს კაცობრიობას პური, სიმინდი, ბრინჯი, ხორცი, ხილეულობა, მწვანილეულობა, ბოსტნეულობა. ამ საკვებავებს რომ მათმა მომყვანმა რამე ზედმეტი სიკეთე მიანიჭოს ან დაკლოს მოუვლელობით, ეს შეძენა ან დაკლება იქნება არა მარტო მომყვანისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, მთელი ქვეყნის წარმატებისათვის.

მაგრამ სანატრელ ქვეყანაში მეურნეობის ოღონძინებამდე არამედ თუ მარტო მათ, ვისაც მთელი კაცობრიობის სარჩო-საბადებლის მოყვანა თითქო იჯარით აქვს უამთავითარებით აღებული, არამედ საზოგადოების განათლებულ ნაწილსაც კი ძლიერ ცოტა რამ გაეგებოდა საკვებავების ავ-კარგიანობისა.

მცენარეულსა და ხორცეულს საკვებავების მწარმოებლთ არ ესმოდათ წინათ, თუ რას ღებულობს ადამიანის სხეული საჭმლიდან, როგორ ღებულობს, როსთვის ღებულობს და რა შედეგი მოაქვს, საზოგადოდ, ამა თუ იმ საკვებავის მიღებას.

თუმცა დღესაც ბევრი რამ აჩება ამ საქმეში ჯერ გამოუკვლეველი, მაგრამ მიუხედავად ამისა საკვებავების შედგენილობის გამოკვლევამ, მათ სინოყვი-

რისა და ფალსიფიკაციის შესწავლამ მთელი რევოლუცია მოახდინა ხალხის საზრდოობაში.

სამეცნიერო სასწავლებელს აიღებოთ თუ უნივერსტიტეტს სანატრელ ქვეყანაში დღეს იქ უკვლგან გაფაციცებით იკვლევენ სხვადასხვა საკვებავების სიავკარგეს, რადგან დარწმუნებულნი არიან რომ ამ გამოკვლევებით ბელნიერებას უქადიან მთელ ქვეყნიერებას.

პროფსორ ატვოტერის მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც მან საჭმლიდან წარმომდგარ ენერგიის შესახებ მოახდინა საცდელ სადგურზე სტორზ კონექტიკუტში, ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს აქაც იმ კანონს, რომ ენერგიის და ნივთიერების საერთო ზომას ბუნებაში არაოდენი არც აკლდება და არც ეზატება არც როდის.

ჩვენს სხეულსაც და ჩვენს საკვებავებსაც ატვოტერის გამოკვლევით ოთხი რიგი ნივთიერებანი შეადგენენ. ეს არის ის კვარტეტი, რომელზედაც აშენებულია ცოცხალი ბუნების მთელი ჰარმონია.

პირველ რიგში არიან ცილანი ან უპროტეინები — აზოტნარევი ნივთიერებანი, რომელიც შედიან საკვებავში, სახელდობრ მჭლე ხორცში, კვერცხის ცილაში, პურის დუდკოში და სხ., და ხმარდებიან სხეულს ხორცის ანუ კუნთების შესასხმელად.

მეორე რიგ ნივთიერებებს შეადგენენ ნახშირწყლები — სახამებელი და შაქარი, რომელთაგან წარმოსდგება

სხეულის ენერგია ანუ სითბო სხეულისა.

მესამე რიგს ეკუთხნიან სიმსუქნეები და ზეთეულობა, რომელნიც უფრო შესახვედრინი არიან ხორცეულ საკვებავში, თევზეულობაში, ერბო-ჯარავში და სხვადასხვა მცენარეების თესლეულობაში. ეს მესამე რიგის ნივთიერებანიც ენერგიის ანუ სითბოს წარმოსადგენ წყაროს შეადგენს, ხოლო უფრო ღონიერს, ვიდრე სახამებლები ან შაქარი.

მეოთხე რიგის ნივთიერებანი არიან მინერალური ნივთიერებანი, რომელთაგან ჩინჩხია სხეულისა შემდგარი.

საკვებავებით მიღებულ სინოყივრეთა რაოდენობა რომ შევადაროთ სხე-

ულიდან გამოხდილ მასალის რაოდენობას, მივიღებთ იმას რაც მოემატა ან დაკლდა სხეულს. აგრედვე, განსხვავდა იმ ენერგიისა, რამდენიც მიღებულ საკვებავში იყო შედარებით იმ ძალით სთან რაც სხეულმა დაკარგა მუშაობით ან სითბოს გამონელებით, მოგვცემს ბალანსს სხეულის ენერგიისას.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მოყვანილი ქვემოთ ნიხრი, რომელიც გვიჩვენებს თუ რომელ საკვებავს რამდენი ხარჯი აქვს, რომდენი სინოყივრე აქვს, რა ნივთიერებებისაგან არიან შემდგარნი ეს სინოყივრენი და რამდენ კალორი სითბოს იძლევა თითოეული გირვან ქამა თუ იმ საკვებავისა.

საკვებავი ხორცეული

(როგორიც ბაზარში იყიდება)

	შონარჩუნები:	ანუ 0/0 წევა	ანუ 0/0 ცილინდრი	ანუ 0/0 კენი	ანუ 0/0 ნახშირი	ანუ 0/0 წევა	ანუ 0/0 რამდენი სინო კალორი გადასაცემი
ძროხის ხორცი.....	15,7	50,4	15,4	18,3	--	0,7	1,012
ხბოს ხორცი.....	20,7	56,2	16,2	6,6	--	0,8	0,570
ცხვრის ხორცი.....	17,2	45,1	13,8	23,2	--	0,7	1,210
ლორის ლორი.....	13,6	34,8	14,2	33,1	--	4,2	1,635
ქათმის ხორცი	25,9	47,1	13,7	12,3	--	0,7	0,763
ბატის ხორცი.....	17,6	38,5	13,4	29,8	--	0,7	1,475
ორაგულის თევზი.....	—	63,5	21,8	12,1	--	2,6	0,915
ქათმის კვერცხი.....	11,2	65,8	13,1	9,3	--	0,7	0,635
ძროხის ერბო.....	—	11,0	1,6	85,0	--	3,0	3,410
რძე	—	87,0	3,3	4,0	5,0	0,7	0,310
რძე ნაღებ მოხდილი	—	90,0	3,4	0,3	5,1	0,7	0,165

საკვებავი მცენარეული.

პური.....	—	35,3	1,2	1,3	35,1	1,1	1,200
კართოფილი	20,0	62,6	9,8	0,1	14,7	0,8	0,295
ვაშლის ჩირი.....	—	28,1	1,6	2,2	66,1	2,0	1,158
შაქარი.....	—	—	—	—	100,0	—	1,250

ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ამ საკვებავებიდან ჩვენი სხეული ითვისებს:

ხორცეული საკვებავებიდან თითოეულ ას ნაწილზე
ცილას..... 97 ნაწილს.

სიმსუქნეს 95 ნაწილს
ნახშირწყალს 97 "

მცენარეულ საკუგბავებიდან თითო-
ეულ ას ნაწილზე
ცილის 84 ნაწილს
ზეთს 90 "
ნახშირწყალს 97 "

სანოვაგე რომ კარგი იყოს მარტო,
ეს მაინცა და მაინც ჯერ კიდევ არა
კრძალა, რომ სხეულმა საჭმელი კარგად
შეირგოს. თვით საჭმლის მომზადება-
საც დიდი შინიშვიერობა აქვს ამ საქ-
შეში.

საქმე ის არის სუფრა ლაზათით,
საჭმელი სანახაობისთ ისეთი მიმზიდვე-
ლი და მაღის მომგვრელნი უნდა იყვნენ,
რომ ადამიანს პირს წყალი მოედინოს
და სალერლელი აეშალოს კუჭისა.

ინგლისელები ამბობენ: „სანოვაგეს
ღმერთი გზავნის, მხარეულს — ეშმაკიო“. სწორედ ზედგამოკრილი იყო ეს თქმა
ზოგიერთების მზარეულობაზე უწინ
სანატორელ ქვეყანაში და არ შეი-
ლებოდა რომ ამ მხრივაც არ შეე-
ტანათ ცხოვრებაში წესირი გაუმჯო-
ბელოსა.

თითქმის ყველა სასწავლებლებში,
საიდანაც კურს დამთავრებულნი სოფ-
ლის მეურნეობას უნდა დაუბრუნდნენ,
ქალები მეტადრე, დაწვრილებით სწავ-
ლებენ საჭმელების მომზადებას, სუფ-
რის ლაზათის მიცემას, სანოვაგის ლირ-
სების ამოცნობას და სხვ.

დეპარტამენტი ამსაც არ აქმარებს —
ღროვამოშვებით ბეჭდავს და უფასოთ
ურიგებს მცხოვრებლებს სის იმ საჭ-
მელებისას, რომელნიც ცნობილ
არიან როგორადაც საუკეთესო საჭ-

მელები ჯანის სიმრთელისათვისაც და
გემოთიც.

გარდა ამისა მრავალჯერ გამოცდით
სანატორელ ქვეყნელებს აქვთ გამოკვ-
ლეული, რომ ზომაზე მეტად მოჯაფა-
ვე ვაჟკაცს ერთი მთელი და ორი მეა-
თედი ზომა იმ საჭმლისა უნდა მიყცეს,
რაც ზომიერად მომუშავეს უნდება
დღეში. ვაჟკაცს შეღავათიან მუშაობა-
ში ან თხეულმეტ-თექვსმეტი წლის ყმა-
წვილ კაცს სკირდება ცხრა მეათედი
ზომა იმ საჭმლისა, რასაც ზომიერად
მომუშავე თხოულობს. ვაჟკაცს, რომ
იჯდეს ერთ ალაგას და არ მუშაობდეს,
აგრედვე დედაკაცს ზომიერად მომუ-
შავეს, ვაჟს ცამეტ-თოთხმეტი წლისას
და ქალს თხეულმეტ-თექვსიერტის წლისას
უნდება მხოლოდ რვა მეათედი ზომა
იმ საჭმლისა, რაც ზომიერად მომუშავე
ვაჟკაცს. უნდა. დედაკაცი შეღავათიან
მუშაობაში, თორმეტი წლის ვაჟი და
ცამეტი წლის ქალი საჭირობენ მხოლოდ
შვიდ მეათედს იმ საჭმლისას, რასაც
დიდი ვაჟკაცი ხარჯავს ზომიერ მუშაო-
ბის დროს.

ბიჭი თერთმეტი წლამდე და გოგო
ათ-თორმეტი წლამდე თხოულობენ ექვს
მეათედს, ხოლო ბავშვები ექვსიდან
ცხრა წლამდე კი ხუთ მეათედს იმ
საჭმლისას, რაც ზომიერად მომუშავე
ვაჟკაცს უნდება დღეში.

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ
აქ მოგვყავს საჭმლის ზომათა შედარე-
ბა იმ რაოდენობასთან, რასაც ზომიე-
რად მომუშავე ვაჟკაცი თხოულობს.
რაც შეეხება იმას თუ ამ ზომიერად
მომუშავე ვაჟკაცს რალამდენი საჭმელი
უნდება, ეს თვით ამ ვაჟკაცს ეცოდი-
ნება ჩვენზე უკეთესად. ჩვენ გვაინტე-



რესებს ამ ზომასთან შედარება და არა თვით ამ ზომის რაოდენობა.

ნამდებილი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, არა იმას, რა ზომის საჭმელი შექმა ადამიანმა, ან რამდენი სინოყიფრე ერთი ამ საჭმელს, არამედ იმას თუ რაოდენი საჭმელი მოინელა ადამიანმა ანუ რამდენი სინოყიფრე შეეთვისა მის სხეულს ამ საჭმლიდან.

შეიძლება საჭმელი ზომით გევრი შეიჭამოს; მაგრამ ცოტა კი შეერგოს-შეეთვისოს სხეულს. შეიძლება აგრედვე საჭმელი ზომით ნაკლები იყოს წინანდელზე, მაგრამ შეთვისებული სინოყიფრენი კი სჭარბობდნენ რაოდენობით.

მაგალითისათვის მოვიყვანთ აქ პროფესიონალ სნაიდერსის გამოკვლევას, რომელიც მან შაქრის სინოყიფრეზე მოახდინა.

კვებაში ჩაიყენეს სამი ადამიანი. საკვებავს აძლევდნენ ხან უშაქროთ, ხან შაქართან ერთად. თითოეულ ადამიანს ეძლეოდა დღეში:

შვრიის ფქვილი...	$\frac{1}{4}$	გირ.
ყველი.....	$\frac{1}{4}$	"
პური.....	$\frac{3}{4}$	"
კარაქი	3	უნცი
ჟოლი.....	2	უნცი
რძე.....	1	სტაქანი
კვერცხი	2.	

როცა გარდა სხვა საჭმელებისა შაქარსაც აჭმევდნენ, თითოეულ მათგანს ხუთ-ხუთი უნცი შაქარი ეძლეოდა დღეში.

დაწვრილებით ითვლებოდა რამდენი ხარჯი ჰქონდა თითოეულ ადამიანის სხეულს და რა ზომის სინოყიფრე ეთვისებოდა მას ყოველდღე.

გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი: ჯერ ერთი რომ შაქარს არაფერი ზედგავლენა არა ჰქონია სხვა საკვებავების მონელებაზე; მეორე—შეჭმული შაქრიდან არაფერი არ დარჩენილა მოუნელებელი, რადგან ოთხმოცდა ცხრამეტი და ცხრა მეათედი იმ ენერგიისა, რაც შაქარში იყო, სხეულმა გამოიყენა; მესამე—სხვა საჭმელებიდან გამოხდილი ცილა მეტი აღმოჩდა სხეულში მაშინ, როცა სხეულს შაქარიც ეძლეოდა, რადგან ამ შემთხვევაში სხეულისათვის საჭირო სითბო ამ შაქრიდან კეთდებოდა და სხვა საკვებავების ცილა არც სულ არ დახარჯულა ამ საჭიროებისათვეს.

ხოლო უმთავრესი დასკვნა ამ ცდიდან ის იყო, რომ შაქარი, რომელიც წინათ მხოლოდ საჭმლის გასაგემრიელებელ სანელათ ითვლებოდა, დიდმნიშვნელობანი საზრდო ყოფილა სხეულისათვის. გარდა იმისა რომ შაქარი ისეთივე სითბოს მომცემი მასალაა, როგორც სახამებელი, იგი ბევრით აღვილი მოსანელებელია ამ უკანასკნელზე. შაქრის ესეთი თვისებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომელიც დიდი ხანია კონდიტრებსა აქვთ შემჩნეული, რომ ხალხი ზამთარში უფრო ეტანება ტკბილეულობას, ვიდრე ზაფხულში, რადგან, როგორადაც სითბოს მომცემი მასალა, შაქარი უფრო მაშინ არის საჭირო, როცა ცივა.

გამოკვლევიდან იყო დასკვნილი კიდევ ისიც, რომ შაქარი მშვენიერი საშუალებაა შრომისაგან დასუსტებულ ადამიანის ჯანის ასაღენად. სხეული ისე მაღა და ისე სრულად ითვისებს შაქარს, ისეთ ენერგიას აძლევს იგი სხეულს, რომ ერთი უნცი შაქარი

სრულიად საკმარისია რომ გულგადალე-
ულს სისუსტისაგან აღამიანს ლონე
დაუბრუნოს.

დასარწმუნებლად ამისა ერთ ესეთ
ლონე მიხდილ, ძრიელ დასუსტებულ
აუმიანს შეაჭამეს ნივთიერება, რომე-
ლიც გემოთი არ განირჩეოდა შაქრი-
დან, ხოლო შაქარი კი არ იყო, და
ნახეს რომ არავითარი გავლენა არ
იქონია მან, ხოლო როდესაც მისცეს
ნამდვილი შაქარი, მაშინ კი ძალ-ლო-
ნე უკეცრად დაუბრუნდა აღამიანს.

მარტო ეს ერთი მაგალითი საკმაოდ
ამტკიცებს იმას, რომ საკვებავების გა-
მოკვლევა—შესწავლა უზრუნველ ჰყოფს
ჯანის სიმრთელეს და დღეგრძელობას
როგორც ცალკე აღამიანისას, ისე მთე-
ლი ერისას.

მაგრამ წუთისოფელი ვის გაუსწო-
რებია! იმ დროს, როდესაც მეცნიერ-
ნი მკვლევარნი აღამიანთა საკეთილ-
დღეოთ თავს ედგნენ საკვებავების ცდა-
გამოკვლევას, აღამიანთა ულირსნი
შვილნი პირადი სარგებლობით გატა-
ცებულნი იმაზე ფიქრობდნენ, თუ რო-
გორ გააფუჭონ სხვადასხვა საკვებავი,
რომ ხალხი მოატყუონ და მეტი მოი-
გონ.

ლირსშესანიშნავია ის გარემოება
რომ ფალსიფიკაცია უგი მეტისმეტად
გაძრიელდა და მის წინააღმდეგ ბრძო-
ლა შეიქმნა საჭირო სწორედ მაშინ,
როცა სანატრელ ქვეყანაში მეურნეო-
ბის აღორძიმების ხანა იწყობოდა.

ბრძოლა ამ ფალსიფიკაციის წინაა-
ღმდეგ დაიწყო 1861 წელს ჯერ მარ-
ტო იმითი, რომ სანოვაგით ვაჭრობის
შესახებ გამოიცა კანონი, რომლის
ხალითაც ჯარიმა ედებოდა იმას,
ვინც რაიმე სანოვაგეს გაჰყიდიდა იმ

სახელით, რასაც ეს სანოვაგე ნამდვი-
ლად არ წარმოადგენდა. მერე, როდე-
საც რამდენიმე წლის შემდეგ ბაზრის
გაჩერეკითა და გასინჯვით დარწმუნდ-
ნენ, რომ თითქმის ვერცერთ სანოვა-
გეს ვერ შეხვდებით ბაზარზე სიყალ-
ბისაგან დაცულს, რომ გაიაფების გუ-
ლისათვის ყველა მათგანს უსათუოდ
რამე აქვს გადარეული, შეზავებული
და მთელ ხალხს ატყუებენ პირალებით,
ბრძოლა მოყალბეთა წინააღმდეგ გაო-
რკეცდა.

მარტო ამ უკანასკნელი ათი წლის
განმავლობაში სანატრელ ქვეყანამ ამ
ბრძოლას შეალია იმდენი ფული და
ენერგია, რამდენიც მაღამდე ყველა
შეერთებულ შტატებს არ დაუხარჯავთ
დღიდგან მათი დაარსებისა.

რამდენიმე ხნის წინათ შტატების მარ-
თველობას უნდოდა გაეგო: კონსერ-
ვების შენახვაში ხომ არას ხმარობენ
ისეთს, რაც ჯანისათვის მავნებელია. სამეურნეო დეპარტამენტის ლაბორა-
ტორია შეუდგა იმის გამოკვლევას,
თუ როგორ ზედმოქმედობენ ბორა და
ბორის სიმუშევრე საჭმელზე, რადგან ეს
ნივთიერებანი კონსერვების მომზადება-
ში იხმარებიან.

გამოკვლევა უნდა მომხდარიყო სა-
მი გზით: ჯერ ერთი რომ უნდა ლა-
ბორატორიის შემწებით გაეშინჯათ,
როგორი მოსანელებელი არიან ეს
ნივთიერებანი; მეორე — უნდა ცხოვე-
ლებზე გამოეცადნათ ამ ნივთიერებების
მონელება და მესამე — ესეთივე გამოც-
და მოხედინათ ადამიანზეუაც. რასა-
კვირველია, ეს უკანასკნელი გზა ყვე-
ლაზე უფრო დასარწმუნებელი იქნებო-
და, მაგრამ ვის იპოვილნენ ისეთს, რომ
თავისი თავი გამოცდაში მიეცა — ეჭამა

ისეთი ნივთიერებით შეზავებული საჭ-
მელი, რომელიც შეიძლებოდა მავნე-
ბელი გამომდგარიყო ადამიანის სხეუ-
ლისათვის?

მიუხედავად ესეთი შიშისა მსურველ-
ნი მაინც ბევრნი გამოჩდნენ, რომელ-
თაგან არჩეულ იქმნენ თორმეტი კაცი
და შეუდგნენ ცდას: კვებავდნენ მათ
კარგა ხანი ბორათი დამუშავებულ საჭ-
მელებით, ისე როგორც კონსერვებს
დაამუშავებენ ხოლმე, და აღმოჩნდა,
რომ ბორის სიმჟავის ხმარება საჭმელ-
ში უსათუოდ მავნებელია ადამიანისა-
თვის მაშინაც, როცა ცოტა ურევია
ეს ნივთიერება საჭმელს ხოლო ადა-
მიანი დიდ ხანს იკვებება მით, და მაში-
ნაც, როცა ადამიანი თუმცა ცოტა
ხანს სჭიათს, მაგრამ ბორა ბლომათ ურე-
ვია საჭმელს. ბორა-ნარევ საჭმელით
გამოწვეული ვნება ძრიელ მაღა ემჩ-
ნევა ადამიანს: ეკარგება მას მაღა, სუ-
ტდება, კუჭი ეშლება, საზოგადოდ შე-
უძლოთ ხდება.

ესეთი და მრავალი სხვა ამგვარი
ცდების წყალობით დღეს სანატრელ
ქვეყანაში აღამიანის კუჭის ისენაირად
როდილა უყურებენ როგორც წინად,
ესე იგი ვითომ კუჭი ისეთი ჯორი
იყოს, რომ რაც გინდა აკიდო წაი-
ლოს, არამედ იმნაირ აზიზ ორგანო-
თა აქვთ წარმოდგენილი, რომელსაც
ღილის ყურადღებითა და გაფრთხოლე-
ბით უნდა ვეპყრობოდეთ, თუ გვინდა
რომ დღეგრძელნი და ბედნიერნი გავ-
ხდეთ.

ერის ძალაცა და ხასიათიც მჭიდ-
როდ არის დაკავშირებული იმ სასმელ-
სასმელებზე, რომლითაც ერი იკვებე-
ბა. სალია და ყალალნობს ერი, თუ
სალი და მაძღარი საჭმელი აქვს მას.
ამიტომ რაც მეტად იქნება ხალხში
გავრცელებული სწორე წარმოდგენა
საკვებავების აფკარგინობაზე, მით
უფრო ძლიერი შესძლებს ხალხი თა-
ვის თავს უპატრონოს და ჯანის სიმრ-
თელე დაცვას.

ვ. რცხილაძე.

ი ღ ნ ჭ პ

იონჯა უნდა დაითესოს სხვა თესლ-
ში აურეველი, სუფთა. დესეტინას უნ-
დება დასათესად $2 - 2^{1/2}$ ფუთი თეს-
ლი. მიწა უნდა შემოდგომითვე მოიხნას,
რომ თოვლს ქვეშ გაფუვდეს, ნიავა
გაუაროს, საბოსტნე მიწას დაემზეავ-
სოს. ურწყავ ალაგას იონჯა უნდა
დაითესოს ადრე გაზაფხულზე, თოვლს
რო აიღებს და აღარა ლაფობს. ნია-
დაგის ძალიან გამოშრობას არ უნდა
ელოდოთ. პირიქით რაც მეტი ნეს-
ტი ექნება ჯერ ისევ ნიადაგს, იმდენი
უკეთესია.

შემოდგომით მოხნული მიწა გაზა-
ფხულზე ჯერ უნდა კბილებიანი ფარ-
ცხით ან კავ-სახნისით აიჩეროს კარგად,
შემდეგ დაითესოს იონჯა და მერე
ოდნივ დაიტკენოს საგორავით.

იონჯასთან ერთად ბევრი სხვა ბა-
ლახიც იღვიძებს. უმთავრესი მტერი
იონჯისა ეს ბალახები არიან. ამათ მო-
საშორებლად ერთი საშუალებაა — ამო-
სული ბალახი, წამოიზრდება თუ არა
იმოდენათ რო სათიბელი ან ცელი მო-
ჰკიდებს პირს, უნდა მაშინვე გაითი-
ბოს. გამარგვლა უკეთესი იქნებოდა,

მაგრამ მთელი მინდვრის გამარგვლა
პირდაპირ შეუძლებელია.

პირველ გათიბვის შემდეგ იონჯა
ამოასწრობს სხვა ბალახებს, მაგრამ ეს
უკანასკნელიც ზედ მოჰყვებიან მას.

გათიბეთ პირადებით კიდევ ერთხე-
ლაც და შემდეგ ხალასი იონჯა ამოვა
მარტო.

იონჯა ეკუთვნის ცერმაგვარ მცე-
ნარებს, ყვავილი აქვს ის ფერი. პირ-
ველსავე წელიწადს 2—3 ჯერ შეიძ-
ლება გაითიბოს.

იონჯა უნდა ითიბებოდეს პირველ
წელიწადს მაშინ კარა როცა საკმარი-
სად იქნება გაზრდილი, არამედ მაშინ
როცა დაატყობთ რომ მორეული ბა-
ლახები ყვავილში შევიდნენ, ხოლო
ჯერ თესლი არ შემოსვლიათ და არ
ჩაუბნევიათ მიწაში, რათა შემდეგისა-
თვის ეს შაბბი თანდათან ამოვარდეს
სრულებით.

მეორე წლისათვის ნიადაგი ვიდრე
იონჯა გაიღვიძებს ზამთარ-გამოვლილი
უნდა კბილებიანი ფარცხით ან კავ-
სახნისთ აიჩქის კარგად ფარცხის
გატარ-გამოტარებით აღმა-დაღმა, გარ-
დი-გარდმო და ქეშათ რამდენჯერმე-
ფარცხის კბილები ჯერ ერთი რომ ნია-
დაგს აფხვივრებენ, მეორე—იონჯის
ღეროები, რომელნიც მიწას არ ამოს-
ცილებიან, ისერებიან — იარავდებიან და
გამწვავებული ღერო იონჯისა უფრო
ხარბად ეწევა ფესვებიდან საზრდოს და
უფრო ღონიგრად იზრდება, ვიდრე
მაშინ, რომ არ დასერილ-დაკოდილი-
ყო.

ესეთი გავლა ფარცხით ნიადაგის
ასაჩქად, სადაც იონჯა სთესია, ყო-
ველ გაზაფხულობით და ყოველი გა-
თიბვის შემდეგ უნდა ხდებოდეს.

იონჯა ისეთი ბალახია, რომ რაც
მეტჯერ გაითიბება, იმდენი უფრო
ღონიგრად ამოდის.

6—7 წლის განმავლობაში სულ რო
ცოტა ვსოდებათ იონჯა 2—3 ჯერ ითი-
ბება წელიწადში და ყოველ გათიბებაზე
იძლევა ღესეტინაზე 100—200 ფუთ
თივის. გაძრიელებული მოსავალი იცის
იონჯამ მეხუთე და მეექვსე წელს, მერე
კი მოსავალი თანდათან კლებულობს.

არამცა და არამც იონჯა ხეხილის
ბალში არ უნდა დათესოთ: ფესვები
იონჯას იმდენად ღრმად მისდის და ისე
ღონიგრად ეზრდება, რომ ყველა ხე-
ხილებს გადავიხმობთ ბალში. იონჯას
უნდა დაეთმოს ცარიელი აღგილი კარ-
მიღამოებთან ახლო, სადაც ჩვეულებ-
რივ მინდორი ცარიელია ხოლმე.

გათიბვისა და თივის აღების შემდეგ
სულაც რომ არ გაიშეას საქონელი
ნათიბში საძოვრად, უკეთესია, მეტად-
რე წვიმის შემდეგ, როცა საქონელი
ღრმად ჩქლერთავს ნიადაგს.

* * *

თუმცა ბალახის სურნელოვანობა
არც იწონება, არც იზომება, მაგრამ
დიდი მნიშვნელობა კი აქვს იმის რაო-
დენობას თივის გაგემრიელებაში. რო-
ცა ცა ნამს გააგდებს მინდორში და
ბალახი შეება მერე მზეზე, ჩვენ ბალა-
ხის სურნელობა გვესმის, რადგან აორ-
თქლილ ნამს ასდევს თან იგი ჰაერ-
ში.

აი ეს არის მიზეზი იმისა, რომ გა-
თიბულ ბალახს გაშლილს არა სტოვე-
ვებენ ღამე, არამედ უნდა დაითალმოს
ხოლმე. გაშლილი მზეზე გათიბული
ბალახი ფერს იცვლის ხოლმე საზოგა-
დოდ, თეთრდება თანდათან. ეს იმას
ამტკიცებს რომ ბალახის ღერო-ფოთ-

ლეგში თივის არ საკეთილოდ სხვადასხვა
ქიმიური ცვლილებანი ხდებიან.

საქონლის მომვლელმა შვენივრად
იცის რომ ლურჯად შენახული თივა
საუკეთესოა და ცდილობს, თუ კი შე-
უძლიან, ესეთი თივა იქონიოს და არა
გამხმარი—გახეჭეჭებული.

ბალახის ღერო, შემდეგ იმისა ბალახი
რო მოიჭრება, ჯერ კიდევ რაოდენიმე
ხანი ცოცხლობს, ფოთლებიც ეწევიან
ღეროდან წყალს და ბალახი იქცევა
თივად.

თუ გათიბული ბალახი დიღხანს დარჩეოს მაგრამ მზეზე თხლად გაშლილი, ფოთოლი მალე შეახმება მას და ლეროების გამოსაშრობად ან უნდა მზეზე დარჩეს ბალახი მეტხანს, ან არა და ბლობა-წყლიანი ჩახურდება დადგმული და გაფუჭდება. როცა გათიბული ბალახი იმ დღესვე მზის გადახრის შემდეგ დიოწყობა თაღმებათ, თალამში შეყოლილი სითბო მზისა მშვენივრად უწყობს ხელს ლეროების გამოშრობას ფოთლების საშუალებით, რომელნიც ჯერ ისევ ცოცხალნი განაგრძობენ მუშაობას, და სინოკივრე და სურნელოვანობა კი შეიგრძელება.

მზის სითბო შეკოლილი დაბულუ-
ლებულ თივაში სხვაა და ჩახურებული
თვის სითბო სხვა. ეს უკანასკნელი
წარმოსდგება ხოლმე მაშინ, როდესაც
თვას ბულულებად ან სათივედ დად-
გბაში სისველე ან ზელმეტი სინესტე
შეჰყვება ხოლმე.

გარეთა ვდგამთ თივას თუ საჩებლი
ან საბძლელში ვინახავთ, სულ ერთია,
დიღი მნიშვნელობა აქვს იმას: ძალიან
არის თივა გამშრალი, თუ ჯერ ისევ
ღვეტყეცია ქალის თმასავით. რბილი
თივა კარგად იძეკება ფეხ ქვეშ, რის

გამო დადგმულს სათივეს ვეღარც ჰაერი
შეატანს, აღარც თივა იფიტება მეტად
და აღარც ჩახურდება. ოცა გინდათ
მოშალოთ სათივე, თივა აბრეშუმივით
ფერ ნათელი და სანახავადაც და საჭ-
მელადაც საქონლისათვის მშვენიერი
არის ხოლმე.

თივა ნედლი უნდა დაიღვას რომ
რაც სინოყივრე აქვს არ გასცვივდეს
გამობით. რომ არ ჩახურდეს, უნდა
შიგა-და-შიგ ნამჯა დასტანდეს სათივეს
დადგმაში. თუ თანაც მარილი მოე-
ყარა ნამჯას დაფქმული, ეს უკეთესია.
ნამჯა შეიშრობს თივის სინესტეს, მა-
რილიც გაუჯდება შიგ და ოღარც ჩა-
ხურდება, არ აობდება და თივაცა და
ნამჯაც გემრიელი საჭმელი იქნება სა-
ქონლისათვის.

იონჯის თვეის ჩახურება, როცა ნედლად იდგმება, არც თუ მაგრე რიგად ადგილია, რადგან ღეროები შეუაშროებულო აქვთ.

ვისაც მარილი ეძვირება, რომ თივა
არ დაობდეს, შეუძლიან ნესტის გა-
მოსალებად კირი იხმაროს, ხოლო, რა-
საკვირველია, თივას ამით სიგემრიელე
არ მიემატება.

სათივე უნდა დაიღიას მაღალი და
ვიწრო განისა. ომნაირად დადგმულ
თივაში ჰაერი კარგად იმუშავებს და
თივა არ ჩახურდება, არ დაიწვება.

როცა იონჯა თივად გვინდა გავთი-
ბოთ და არა თესლი გვსურს ავილოთ,
თიბეას უნდა შეუდგეთ იონჯა რომ
დაყვავილებას იწყებს. ყვავილში რო
ჩავარდება იონჯა გახეჭვეჭდება და სი-
ნოკივრეს ბევრსა კარგავს. დროზე გა-
თიბული იონჯის თივა იმდენად ნოკი-
ერია, რომ ძალაზე გამხდარი, დავა-
რდნილი საქონელი, ცხენები მავალი-

თაღ, ძრიელ მალე მოდიან ჯანზე და სუქდებიან.

ონჯას აქვს კიდევ ის კარგი თვის სება, რომ მისი ფეხვებით გაბანდული

ნიადაგი მაგრდება და მოვარდნილ წვიმის წყალს ვეღარ დაუხრამავს, ვეღარ მიაქვს.

3. გულბაათიშვილი

ხეხილის გოვლა

უმთავრესი მოვლა ხეხილის ბალისა ნიადაგის გაფხვიერებაში მდგომარეობს.

ნიადაგი ყოველწლივ შემოდგომით ან აღრე გაზაფხულზე მთლად უნდა იბარვოდეს და შემდეგ ზაფხულის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ ითონებოდეს.

ცუდი შრომაა, როდესაც ხეხილს მარტი გარეშემო უბარვენ და დანარჩენ ადგილს მინდვრად სტოვებენ. ასეთ ადგილში ხეხილი, მეტადრე ახლად ჩაყრილი, ტანს ვეღარ გაზრდის, რადგანაც ყამირ მიწაში ალავერდა ბალახი, ჭანგა და სხვა მოლონიერდებიან და ხეხილის ფესვებს საზრდოს მთლად გამოაცრიან.

დაყამირებული მიწა უსათუოდ შშრალია ტენ-გამოლეული, რადგანც მზის ცხარე სხივები ბალახის ფოთლებს მრავლად აცლიან წყალს, ბალახის ღერო და ფოთლები ფესვებიდან ჰკრეფავენ წყალს, ფესვები ნიადაგის სილრმიდან სწოვენ ტენსა და ნიადაგიც კარგა სილრმეზე, ძალიან ხშირად ერთ არშინზედაც (ალავერდა ბალახს უფრო ღრმადაც აქვს ფესვები), ხმება.

დაბარული და გაფხვიერებული ზემოდან ადგილი კი ყოველთვის ტენიანია, ღიღდ გვალვაშიაც კი შოლოდ ზედა პირი, ასე ორი სამი თათის დადებაზე, წაუშრება ხოლმე და შემდეგ ძირს კი უთუოდ ნოტიო აქვს. ასეთ ნიადაგს მორწყვაც ნაკლები უნდება.

გარდა ამისა ბალახი პირდაპირაც ვნებს, ხეხილის ფესვებს, ზრდას უშლის, საზრდოს აცლის და, თუ მაღალი და ხშირიც არის, აღრჩობს, ჰაერს უხუთავს.

მაშასადამე მთლად ბალი უნდა დაიბაროს, ან და, თუ ხეხილს შორის განიერი ველებია, გუთნით მოიხნას, რა მანძილიც კი იქნება ხეხილამდის ხელ მისწვდენი და შემდეგ ხეხილების მწკრივზე ბარით გამოიბაროს.

ასეთი შრომა კარგა ბლომად ხარჯს ითხოვს, მაგრამ სხვა გზა არ არის.

დაბარვა უნდა სწარმოებდეს ტრონილად, მეტადრე ხეხილთან ახლო, რომ ხეხილს ფესვები ბარის წვერით არ წაუხდეს.

ამასთან ბალახის ძირები და თვით ლეროებიც ძუძუმაყვალასი და ალავერდასი უნდა ამოიყაროს და ბალს მოშორდეს, რადგანაც თუ მიწას ჩაჰყავ კვლავ გაიხარებს.

ხარჯის ასანაზღაურებლად შეიძლება საბოსტნე მცენარეები დაითესოს: ჭარხალი, ბაღრიჯანი, კართოფილი, ტომატი, უფრო კი ლობიო, მუხუდო და სხვა ცერცვ-მაგვარი მცენარეები. ესენიც, მართალია, ბლომად სინოყივრეს აცლიან ნიადაგს, მეტადრე პირველნი, მაგრამ სამაგიეროდ ამათ ხშირი გაფხვიერება და გაპატივებაც სჭირდებათ და ამით კი ხეხილიც სარგებლობს.

ერთი სიტყვით ხეხილის ბალს ყოველ წლივ გაფხვიერება სჭირდება იქამდის ვიღრე ხეხილი 8—9 წლისა გახდება. შემდეგ კი წელიწადის გამოშვებით შეიძლება გაფხვიერდეს.

საქონლის შეშვება და ძოვნა ხეხილის ბალში ყოვლად შეუწყნარებელია. საქონლი ხეხილის ყლორტებს კვნეტაცს, ზედ ეგლასუნება და ამასთან ფეხით ქელავს გაფხვიერდებულ ნიადაგს, მეტადრე ავდრის შემდეგ. გაძეკილ მამულში კი ხეხილის ზრდა ძალიან პრკოლდება.

ხეხილის და მის ნაყოფის საზრდო-სათვის აუცილებლად საჭიროა წყალი, ესე იგი რწყვა. არის ისეთი ადგილები, სადაც ურწყავადაც მოდის ხილი, მაგრამ ასეთ ადგილებში, რაც გინდ ჰავა და ნიადაგი ხელს უწყობდეს, საფუძვლიან ხეხილის ბალის გაშენებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, რადგანაც მთლად ბუნების ქინიანობაზეა შეურნე დამოკიდებული. საკმარისია ხანგრძლივი გვალვა, რომ მთლად მოსავალზე ააღმინოს ხელი: ხილი ან სულ გასცვივა, ან ისე დაინაკება და დაირკოლება, რომ ბაზარზე გასავალი აღარ ექნება. მაშინადამე წყალს ნიადაგის გაფხვიერებასთან ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ რწყვა საჭიროა ზომიერი. ზოგს ხილს წყალი ბლომად უყვარს. მაგალითად ვაშლი ბევრს რწყვას იტანს, შემდეგ მსხალი და ქლიავი; ბალს ალუ-

ბალს, გარგარს და ატამს არ უყვართ ბევრი წყალი;

ახლად დარგული ბალი, თუ წყალი ძალიან ხშირად ხვდება, უთუოდ გახმება.

საერთოთ ხეხილს მორწყვა გაშინ უნდა, როდესაც უჭირს. წარამარა რწყვა ვნების მეტს არას მოიტანს, რადგანაც ხშირი რწყვით მამული იძეკება.

ახლად დარგულ ხეხილისათვის მორწყვა ოთხჯერ-ხუთჯერ საკმარისია, დიდ ხეხილისათვის კი სამჯერ ან ოთხჯერ. უკანასკნელთავის პირველი მორწყვის დრო მაშინ არის, როდესაც ნაყოფი თხილის ტოლა არის, მეორეთ მკათათვის პირველ რიცხვებში და მესამეთ მარიამობისთვის 1—20 მდინ.

შემდეგ შემოდგომით მორწყვა ხეხილისა მავნებელია, რადგანაც ხეხილის წვენის უდროვოდ ამოძრავებას და ტოტების ზრდას იწვევს. ხის ტოტები ზამთრამდის შემოსვლას ველარ ასწრობენ და, თუ ყინვები დაიჭირა, შემოუსვლელ ტოტებს სძრავს და ახმობს და ზოგჯერ დიდ ყინვებში თვით ხეცა ხმება. ზოგან ხეხილს რწყავენ აღრე, სანამ კვირტი გაიშლება თრის მოსაზრებით: რომ დაყვავილების დროს მეტი ყვავილი შერჩეს და თვით დაყვავილება შეგვიანდეს.

თვით დაყვავილების დროს კი არ არის მიღებული რწყვა.

მ. თაქთაქიშვილი.

(შემდეგი იქნება)

კვება და საკვებავები

სითბოს ზარმოდგენა სამულში და მუშაობა

მეცნიერება ამტკიცებს რომ ენერგია არცროდის არ იკარგება.

ენერგია არსებობს ბუნებაში ან ვით სახიერი რამ მოვლენა, ან დაფარული.

სხვადასხვა გვარი ენერგია როგორც არიან, მაგალითად, ელექტრონი,

სინათლე, მოძრაობა, დაფარული ენერგია და სხვ., იღებენ ერთი მეორის სახეს, წარმოსდგებიან ერთი მეორისაგან და ამ დროს ამ საერთო ძალიდან არაფერიც არ იკარგება ბუნებაში.

საკეთებავში არის დაფარული ენერგია წარმომდგარი მზის სითბო-სინათლის ზედგავლენით. როდესაც საკვებავის რთული ნივთიერება ან სხეულის ნაწილი იშლება შემადგენელ ნივთიერებად, მაშინ დაფარული შიგ სითბოც განთავისუფლდება ვით ძალა კუნთებისა ან სითბო სხეულისა. ამგარად თავიდათავი წყარო მთელი იმ ენერგიისა, რომელსაც ხარჯვენ ცხოველები თავიანთ სხეულის გათბობაზე და მის შიგნით და გარედ მუშაობაზე, მზის ენერგია არის.

ტემპერატურა

ციფი სისხლის მქონე ცხოველებს ტემპერატურა ცოტათი იმაზე მაღალი აქვთ, რაც გარშემო ჰაერს ან წყალს აქვს. თბილი სისხლის ცხოველების ტემპერატურა კი ჩვეულებრივ აღემატება გარშემო ჰაერის ტემპერატურას და დამოუკიდებელია მისგან.

შინაური ცხოველების ჩვეულებრივი ტემპერატურა ასეთია:

	გრადუსები C ტერმომეტრით
ცენტ.	36,9—38,2
ხარის	38,0—39,3
ცხვრის	38,4—41,0
ღორის	38,2—40,7

ჩვეულებრივი ტემპერატურა რომელიმე ცხოველისა ნიშანდობლივ შეიძლება. კარგამყოფობაშიაც სხვადასხვაობდეს ცოტათი, მაგრამ თუ ეს განსხვავება ერთ მთელ გრადუსს ან უფრო

მეტს უდრის, მაშინ კი ცხოველს უსათუოდ რატე დამართებია, ავად არის იგი.

როცა ცხოველის სადგურში ცხელა ძალიან, ეს სიცხე მას წყალს ასმევს ბევრს, ოფლიანდება ცხოველი, მაღალა ეკარგება. არც ის ვარგა რომ ძალიან ციოდეს სადგურში, რადგან მაშინ კიდე მეტი საჭმელი უნდება ცხოველს, რომ დანაკლისი სითბო ააყენოს.

ჩვილი საქონელი უფრო თბილ სადგურს თხოულობს, ვიდრე დიდები, რომელთაც კანი აქვთ სქელი ან ქონი არტყიათ სქლად.

სითბოს წარმოსდგენა. ყოველთვის, როცა კი სხეულის კუნთებში, ან საჭმლის სახარშ ორგანოებში, ან ჯირკვლებში მუვადი ეკიდება რომელიმე ნივთიერებას ანუ იშლება ეს ნივთიერება, სითბო წარმოსდგება. ჩასუნთქული მუვადი ერევა სისხლს, სადაც წითელი სისხლის ბუშთები დაცურავენ უთვალავი. ამ ბუშთების ერთი შემადგენელთაგანი ნივთიერება არის გემოგლობინი. გემოგლობინს ურევია რკინა, რომელიც აძლევს მას წითელფერს.

მუვადი-მილებული სისხლი გადადის კაბილიარებში და აქედან უვენავს სხეულში, სადაც უერთდება სინოყივრეებს და წარმოადგენს სითბოს.

მუვადის შეერთება სხვა ნივთიერებასთან ანუ როგორც ამბობენ მუვადის მოკიდება დიდ სიცხოვლეს როდი თხოულობს, როგორც ეს ფეხში ან ბუხარში ხდება შეშის რო ვწვავთ.

გლიუკოზების, ქონის და პროტეინების დაწვით წარმოსდგება სხეულში ნახშირმუვე, წყალი და პროტეინების მონარჩენი აზოტნარევი ნივთიერებანი,

რომელნიც შარდში არიან არეულნი და გამოსდევენ მას გარედ. მთელი ენერგია, რომელსაც ხარჯავს სხეული შიგნით და გარედ სამოქმედებლად, სითბოს წარმოადგენს. ამიტომ არის ხოლმე სხეულისათვის დიდი ზომის სითბო საჭირო.

ორი მეხუთედი ამ სითბოსი წარმოსდგება სხეულის კუნთებში ანუ მჭლე ხორცში.

სითბოს წარმოდგენა კუნთებში მათ შეკუმშვა-გაშლაზე არ არის დამოკიდებული, რადგან, როცა კუნთები არა მუშაობენ, მაშინაც წარმოსდგება მათში სითბო.

რა ზომის მუავბადი უნდა ჟევიდეს სისხლში სინოუივრეების დასაწვავად და რაოდენი სითბოა საჭირო რომ წარმოსდგეს, ეს ნერვების ზედმოქმედებაზეა დამოკიდებული და არა იმაზე, კუნთები მოქმედობენ თუ არა, ან ჰაერი ცხოველს ბევრით მეტი აქვს თუ ცოტათი მეტი იმაზე, რაც ჩვეულებრივ ესაჭიროება.

სხვადასხვა ალაგას სხეულში სხვადასხვა ზომის სითბო კეთდება და თუმცა სისხლს გააქვს-გამოაქვს ყველგან თანაბრად გასანაწილებლად, მაგრამ მაინც სხეულის სხვადასხვა ორგანოებში იმისდა მიხედვით როგორა მოქმედობს ეს ორგანო ოქმებრატურა ცოტაზე განსხვავდება.

სითბოს წარმოდგენა სხეულში განუწყვეტლივია. გამოკვლეულია მაგალითად რომ ცხენი რო იდგეს ერთ ალაგას და არა მუშაობდეს, ორი დღის განმავლობაში იმის სხეულში იმოდენა სითბო წარმოსდგება, რამდენიც უსა-თუოდ მოკლავდა ცხენს, რომ სხეუ-

ლი მისი ამავე დროს არა ნელდებოდეს.

ცხოველის სხეული სხვადასხვა გზით ნელდება.

ადამიანის სხეული, მაგალითად, ნელდება ასე:

მთელი იმ სითბოდან, რაც ადამიანის სხეულს ჰნელდება შარდსა და მაგარ განავალს გააქვთ... 1,8⁰/0 ჩასუნთქულ ჰაერის გათბობაზე იხარჯება..... 3,5⁰/0

წყალს ასდევს ფილტვებიდან.. 7,2⁰/0 კანიდან გამოსდევს ოფლს... 14,5⁰/0 სხივებით გამომდინარეობს და კანის გაგრილებით იხარჯება... 73,0 სულ..... 100⁰/0

რაც შეეხება ცხოველებს; ზოგი მათგანი სითბოს კარგავს მეტად ტანის გაოფლიანებით; ზოგნი ფილტვებიდან და კანიდან ამონასუნთქ ჰაერგვარს ამოაყოლებენ; ზოგის სხეულიდან სხივებით გამომდინარეობს ზედმეტად და სხვ.

რაც უფრო თბილა ცხოველის გარშემო, იმდენი ნაკლებ სითბოს ჰკარგავს. ცხოველი სხივებით, ხოლო სამაგიეროდ ზედმეტად ოფლიანდება და ამ გზით ნელდება.

რომელი სინოუივრე იხარჯება ცხოველის სხეულში სამუშაო ძალის წარმოსადგენად. უკანასკნელი გამოკვლევების თანხმად სამუშაო ძალის წარმოსადგენად სხეული ხარჯავს საკვებავიდან განსაკუთრებით ნახშირწყლებს და ქონს, ხოლო თუ ესენი არა კმარან, მაშინ პროტეინიც იხარჯება, რაც აზოტის ზედმეტად გამოყოლებას იწვევს შარდში.

ნახშირმჟავის განთავისუფლება. განთავისუფლებული ნახშირმჟავის რა-

ოდენობა სხეულის მუშაობაზეა დამოკიდებული.

რაოდენ ნახშირმეულებს, ანთავისუფლებს, მაგალითად, ცხენი სჩანს შემდეგიდან:

რას აკეთებდა საათში რამდენი კუბ. ფუტი ნახ.-შეავე გან-
ცხენი. თავისუფლება.

ცხენი იდგა შშიდად	1,03
მიღიოდა ნაბიჯით	1,10
" იერიშით	2,95
" ჭენებით	4,92
შიჭენობდა რაც შეეძლო . . .	14,97

შედარება ცხოველის სხეულისა
მაშინებთან.

გამოკვლეულია რომ ცხოველები იმ სითბოს ენერგიიდან, რომელიც მათ შემოსდით საკვებავით, მუშაობაზე ხარჯვენ $28,8 - 36,6\%$, ანუ საშუალო ერთ მესამედს, დაახლოებით, და დანარჩენ ენერგიას კი თავიანთ სხეულის გათბობას ანდომებენ.

ამ ერთ მესამედში არ იგულისხმება ის ენერგია, რაც საჭმლის ხარჯვას უნდება და არც ის, რაც განავალს გასდევს გარედ და იკარგება ცხოველისათვის უსარგებლოდ.

Atwater-ის გამოკვლევით ადამიანის სხეული ხარჯავს მუშაობაზე $19,6\%$ იმ ენერგიიდან, რაც საჭმლით შემოსდის მას. დაახლოებით იმდენსავე ენერგიას ხარჯვენ საუკეთესო ორთქლის მაშინებიც. შუათანა ლირსების ორთქლის მაშინები კი იძლევიან სამუშაოთ მხოლოდ 10% მათზე დახარჯულ სითბოდან. მაშინები, რომელიც ნავთით ხურდებიან, $18 - 25\%$.

აქედან ცხადად სჩანს, თუ რა შეუდარებელი ლირსების ყოფილა ცხოველის სხეული, როგორც მაშინა.

რაოდენიმე ნაწილი საკვებავით მიღებულ ენერგიისა ცხოველის სხეულში განიცდის ცვლილებას და სხეულის გარეშე სამუშაოდ აღარ ვარგობს, თუმცა თვით სხეულს კი ათბობს.

ადამიანის ხელით გაკეთებულ მაშინაში სამუშაო ენერგია სდგება პირდაპირ იმ სითბოდან, რომელსაც იძლევა დასაწვავი მასალა. ცხოველის სხეულში კი მიღებულ საკვებავიდან სამუშაო ენერგიის წარმოდგენას სულ სხვა გზა აქვს.

მუშაობაზე ცხოველი ხარჯავს მხოლოდ იმ ნაწილს საკვებავიდან წარმომდგარ ენერგიისას, რომელიც სხვა სახის ენერგიათ გარდაიქცევა ხოლმე და არა სითბოთ.

ცხოველის სხეულში საკვებავით მიღებულ მასალიდან მზადდება, დღემდე გაუგებარი გზით, კუნთების ენერგია, სითბო, სინათლე და ელექტრონი.

დასაწვავი მასალა გაუხურებლივ იწვის ცხოველის სხეულში წინააღმდევ იმისა, რასაც ჩვენ ადამიანის ხელით გაკეთებულ მაშინებში ვხედავთ.

ვერ ვიტყვით, მაგალითად, რომ ციცინათელა ან მნათე-ხარაბუზა ჰკარგავენ შესამჩნევ სითბოს ან სხვა რომ სახის ენერგიას იმ სინათლის გაჩენაზე, რომელიც მათ ულევათა აქვთ, ან რომ ეგრეღწოდებული გველთევზა ჰკარგავდეს რამე ენერგიას იმ ელექტრონზე, რომელიც მას ესე უხვად აქვს სხეულში, და დღემდე გაუგებარის გზით წარმოსდგებიან მსწავლულთა გასაკვირვებლად.

„მოსაფალი“-ს რედაქტირის საზღვარგარეთის და შიგნით რუსეთის უდიდესი ფირმებიდან, რომლებთანაც რედაქტირ შეკავშირებულია უკვე, მოსდის ხოლმე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოებთა დაკვეთა.

მატყლი, თამბაქო, ჯაგარი, თხილი, თაფლი, ღვინო, ხილი ყველანაირი ნედლი და დაჩირული, ხე-ტყე (მეტადრე მუხისა და კაკლის ფიცრები და ნუსტი), თესლი ზეუჭვრიტისა, კურკა ბამბისა, ალუხისა, ერთი სიტყვით რა გინდა რომ არ თხოულობდნენ და ყველაგვარ ნაწარმოებში კარგ ფასებს გვპირდებიან, ოღონდ ყველა ამ საქონლის მოწოდება მოაწესრიგეთ და შესძელით როცა კი დავიბარებთო.

ამგვარად თითქმის ყველაგვარ ნაწარმოებისათვის ბაზარი უზრუნველ ყოფილია.

რომ სარგებლობა შეიძლებოდეს ამ გარემოებით, საჭიროა: რაიონებში, საღაც კი რა ნაწარმოებია ბაზარში გასატანი გასაყიდად, ამ ნაწარმოებთა შემგროვებელი და მომწვდელი ამხანაგობანი დაარსდნენ ან საღაც ამხანაგობა არ მოხერხდება, კერძო პირებმა ითაონ ეს საქმე, რომ როცა ამა თუ იმ საქონლის დაკვეთა მოგვიგა ხელმისაცემ ფასად, რედაქტირ შეეძლოს გარდასცეს ამ პირთ დაკვეთილი საქონლის გაგზავნა და ლირებული ფასის მიღება.

იგივე ზემოხსენებული ფირმები გვპირდებიან საუკეთესო დღირსების და მასთან პირიან ფასებში იმ საქონლის მოწოდებასაც, რასაც აქ ექნება გასავალი. რედაქტირ უკვე ჰქონდა ესეთი თავისი შუამავლობის განხორციელების მაგალითები.

მაგალითად აქაური ჯაგარი, რომელიც აქ სამ-ოთხ აბაზზე ზევით არ იყიდება გადურჩეველი, გადაარჩევინა რედაქტირ და ცხრა თუმნად გაყიდა ფუთი ლონდონელ ფირმაზე ფულის აქ ჩაბარებით, სანამ საქონელი გაიგზავნებოდა აქედან იქ. რედაქტირ საშუამავლო გროშიც არ აულია, მთელი ფასი უკლებლივ მიეცა საქონლი, პატრონს.

მეორე მაგალითი: ცხვრის საპარსი მანქანა, რომელსაც აქაური მოვაჭრები შვიდ თუმან ნახევრად ჰყილიან, ლონდონიდან გამოწერით ტფილისში ჯდება ოთხი თუმანი და რვა მანეთი, ისე რომ მსურველს 27 მანეთით ნაკლები დაუჯდება იქიდან გამოწერილი, ვიდრე აქ რომ იყიდოს.

ეს ახალი საქმე რომ კარგად მოეწყოს, ასეთ მაგალითებს თვლა არ ექნება.

აგვ 1912 წელს სამეურნეო ზურნალი

„გოსავალი“ წელიწადი მეოთხე

გამოდის იმავე პროგრამით და მიღება ხელის-მოწერა მარტო ტფილისში.

უურნალი ღირს წლიურად 3 მანეთი, ცალკე ნომერი—15 კაპეიკი.

რედაქტირ ეცდება წლის თავზე ძვირფასი პრემია მიაწოდოს ხელის-მომწერლებს.